ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 20.01.-20.05.2012წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ–"ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

2.1 ერთი მხრივ სსიპ ი.გოგებაშვილის სახლ- მუზეუმი (დირექტორი მიხეილ გოგებაშვილი) და მეორე მხრივ ი/მ რუსუდან საგანელიძე „ფარნავაზი".

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკანცელარიო საქონლის მიწოდება, ბილეთების დაბეჭდვა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 243.90 (ორასორმოცდასამი ლარი 90თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2011 წლის 30 დეკემბრამდე განახორციელოს პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მომსახურების "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს

ძემსყიდველი ორგანიზაციის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი: 1. მიხეილ გოგებაშვილი 2. ნანა ბერკაცაშვილი

8. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო: გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა. ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესს, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის
საჯარო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

.

14. სხვა პირობები
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„ დამკვეთი "

სსიპ ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი,
წარმოდგენილი დირექტორის **მიხეილ**
გოგებაშვილის სახით,
მისამართი: გორის რაიონი სოფელი ვარიანი,
საბანკო რეკვიზიტები: PCB გორის ფილიალი,
ბანკის კოდი 220101950, ა/ა 3408001011200001,
ს/კ 218080190

„შემსრულებელი"

ი/მ რუსუდან საგანელიძე „ფარნავაზი"
გორი სტალინის გამზ. # 10
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ა/ნ # CE11VT0200000012443602
ბანკის კოდი UGEBGE22
ს/კ 01024012985